

ეს საჯარო პოლიტიკის ნარკვევი ერთ-ერთია მწვანე ალტერნატივას მიერ მომზადებული ანალიტიკური ნაშრომებიდან, რომლებიც ქვეყნის მდგრადი განვითარებისთვის აქტუალურ საკითხებს ეხება. მისი მიზანია წამოიწიოს საჯარო პოლიტიკის კონკრეტულ სფეროში გადაუდებლად გადასაჭრელი საკითხები და ხელი შეუწყოს დისკუსიას ქვეყნის მდგრადი ეკონომიკური და სოციალური განვითარებისა და გარემოსდაცვითი მიზნების ჰარმონიულად მიღწევის გზებზე.

წარმოდგენილი ნარკვევი განკუთვნილია იმ ორგანიზაციებისა და პირებისთვის, რომლებიც იღებენ გადაწყვეტილებებს საქართველოს საჯარო პოლიტიკისა და მმართველობის საკითხებზე. ნაშრომი, ასევე, სასარგებლო იქნება მათთვის, ვინც ცდილობს ზეგავლენა მოახდინოს საქართველოს საჯარო პოლიტიკაზე, მისი გაუმჯობესების მიზნით.

ეს საჯარო პოლიტიკის ნარკვევი ხელმისაწვდომია ასევე ინგლისურად

საშიში ქიმიური ნივთიერებები და საქართველოს გამოწვევები

ქიმიური ნივთიერებები გამოიყენება მრეწველობაში, სოფლისა მეურნეობაში და ასევე ყოველდღიური ცხოვრებაში. თუმცა, რიგი ქიმიური ნივთიერებები გარემოსთვის, ადამიანთა ჯანმრთელობისთვის და უსაფრთხოებისთვის შესაძლო სახიფათო იყოს, ხოლო არასწორმა გამოყენებამ შეიძლება სერიოზული ზიანი მოიტანოს. შესაბამისად, მნიშვნელოვანია ქიმიურ ნივთიერებათა სათანადო მართვა.

ევროკავშირში არსებობს ქიმიურ ნივთიერებათა ყოვლისმომცველი კანონმდებლობა, რეგულაცია REACH, რომლის მიზანია დაიცვა ადამიანის ჯანმრთელობისა და გარემოს დაცვის მაღალი ხარისხი ქიმიური ნივთიერებების მიერ შექმნილი რისკებისგან და ამავდროულად უზრუნველყოს ევროკავშირის ქიმიური ნაშრომების კონკურენტუნარიანობა. პრინციპში, რეგულაცია მიესადაგება ყველა ქიმიურ ნივთიერებას, მათ შორის ნივთიერებებს რომლებიც გამოიყენება ჰიგიენის პროდუქტებში, საღებავებში, ტანსაცმელში, ავეჯში, ელექტრონულ მოწყობილობებსა და სხვ. ამასთან, არსებობს ქიმიური ნივთიერებები, რომლებიც დამატებით რეგულირდება შესაბამისი კანონმდებლობით, მათ შორის ბიოციდები, პესტიციდები, ფარმაცევტული ნივთიერებები და კოსმეტიკა და სხვა.

კანონმდებლობის განხორციელებას ევროკავშირის დონეზე უზრუნველყოს ევროპის ქიმიური ნივთიერებათა სააგენტო, რომელიც ეხმარება წვერი ქვეყნების მარეგულირებელ ორგანოებს, აგრეთვე კომპანიებს კანონმდებლობის შესრულებაში, ფლობს სრულყოფილ ინფორმაციას ქიმიურ ნივთიერებებზე და პასუხობს სახიფათო ქიმიურ ნივთიერებათა მიერ შექმნილ გამოწვევებს.

2014 წლის საქართველო-ევროკავშირის ასოცირების ხელშეკრულებით საქართველომ აიღო მნიშვნელოვანი გარემოსდაცვითი ვალდებულებები, მათ შორის ქიმიური ნივთიერებათა უსაფრთხოების და მართვის კუთხით. საქართველოს მიერ აღებული ვალდებულებები განერილია 2015-2019 წლებზე და ქვეყნის ქიმიური უსაფრთხოებისა და პოტენციურად საშიში ქიმიური ნივთიერებების მართვის სფეროში მოიცავს შესაბამისი კანონმდებლობის შემუშავებას, არსებული კანონმდებლობის ანალიზის საფუძველზე მის ჰარმონიზაციას ევროგაერთიანების კანონმდებლობასთან, ქიმიური ნივთიერებების აღრიცხვას, ქიმიურად დაბინძურებული ობიექტების იდენტიფიცირების ერთიანი სისტემის შექმნას, მოსალოდნელი ავარიების რისკების შეფასებას, ნარჩენების მართვის სფეროში სტრატეგიული დოკუმენტების შემუშავებას, ქიმიური ნივთიერებების ეროვნული რეესტრის შექმნას და წარმოებას და სხვ.

საქართველოში არსებული საკანონმდებლო ბაზა და ინიციატივები

1993 წელს საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის დადგენილებით შეუერთდა ლონდონის სახელმძღვანელო პრინციპებს და პოტენციურად ტოქსიკურ-ქიმიური ნივთიერებების საერთაშორისო

რეგისტრს, რითაც მნიშვნელოვანი ვალდებულებები აიღო ქიმიური ნივთიერებების მართვის სფეროში. 1998 წელს, გაეროს გარემოსდაცვითი პროგრამისა (UNEP) და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციის (FAO) მოთხოვნათა გათვალისწინებით მიღებულ იქნა კანონი „საშიში ქიმიური ნივთიერებების შესახებ“, რომელმაც ჩამოაყალიბა საშიში ქიმიური ნივთიერებების მართვის ერთიანი სამართლებრივი საფუძვლები.

მთავარ კომპეტენტურ ორგანოდ აღნიშნულ სფეროში განისაზღვრა საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო. კანონის მიღებას გარკვეული წინააღმდეგობა შეხვდა საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს მხრიდან, რომელსაც ჯერ კიდევ საბჭოთა კავშირის არსებობის პერიოდიდან გააჩნდა აგროქიმიკატებისა და პესტიციდების მართვის მრავალწლიანი გამოცდილება და ნაკლებად იყო ორიენტირებული აპრობირებული პრაქტიკის შეცვლაზე, განსაკუთრებით საშიში ქიმიური ნივთიერებების გამოცდის, რეგისტრაციისა და მათი ერთიანი სახელმწიფო რეესტრის წარმოების სფეროში.

თუმცა, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს არასაკმარისმა გამოცდილებამ ამ სპეციფიკურ სფეროში და აუცილებელი დამატებითი სამართლებრივი ნორმების (სტანდარტები, სახელმძღვანელო პრინციპები, დებულებები) არარსებობამ, ხელი შეუშალა კანონის ამოქმედებას.

2010 წელს კანონი გაუქმებულ იქნა, რამაც პრაქტიკულად ერთიანი მარეგულირებელი ნორმების გარეშე დატოვა ეს მნიშვნელოვანი სფერო. საინტერესოა ის ფაქტი, რომ კანონის გაუქმებას არ მოჰყვა მისგან გამომდინარე რიგი კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების გაუქმება და ისინი დღესაც ძალაში რჩება.

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს კანონებში „პესტიციდებისა და აგროქიმიკატების შესახებ“, „ატმოსფერული ჰაერის დაცვის შესახებ“, „ნარჩენების მართვის კოდექსი“, „ნარჩენების იმპორტის, ექსპორტის და ტრანზიტის შესახებ“, „საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ“ და სხვა საკანონმდებლო აქტებში მოყვანილია საშიში ქიმიური ნივთიერებების მართვის ცალკეული ნორმები, კანონის „საშიში ქიმიური ნივთიერებების შესახებ“ გაუქმების შემდგომ, სამართლებრივი ნორმები აღნიშნულ სფეროში ძირითადად განისაზღვრება იმ საერთაშორისო ხელშეკრულებებით, რომელთა წევრი არის საქართველო. ეს ხელშეკრულებებია:

- 1989 წლის 22 მარტის ბაზელის კონვენცია „სახიფათო ნარჩენების ტრანსსასაზღვრო გადაზიდვასა და მათ განთავსებაზე კონტროლის შესახებ“ 1989 წლის 22 მარტის ბაზელის კონვენცია¹;
- როტერდამის 1999 წლის 10 სექტემბრის კონვენცია “ცალკეული საშიში ქიმიური ნივთიერებებითა და პესტიციდებით საერთაშორისო ვაჭრობის სფეროში წინასწარი დასაბუთებული თანხმობის პროცედურის შესახებ“;
- სტოკჰოლმის 2001 წლის 22 მაისის კონვენცია „მდგრადი ორგანული დამბინძურებლების შესახებ“;
- ვენის 1969 წლის კონვენცია „ოზონის შრის დაცვის შესახებ“;
- მონრეალის 1987 წლის ოქმი „ოზონის შრის დამშლელ ნივთიერებათა შესახებ“ ყველა ცვლილებებით;
- 1992 წლის 9 მაისის „კლიმატის ცვლილების ჩარჩო კონვენცია“ ცვლილებებით;
- «გაეროს კლიმატის ცვლილებების ჩარჩო კონვენციის» 1997 წლის 11 დეკემბრის ოქმი ცვლილებებით;
- FAO-ს 1985 წლის „პესტიციდების განაწილებისას და გამოყენებისას წესების საერთაშორისო კოდექსი“ მასში შეტანილი ცვლილებებით და სხვ.

¹ გარემოსდაცვის სამინისტროს მიერ ბაზელის კონვენციის შესრულების ბოლო ანგარიში წარდგენილია 15.01.2016, <http://ers.basel.int/ERS-Extended/FeedbackServer/fsadmin.aspx?fscontrol=respondentReport&surveyid=65&voterid=47214&readonly=1&nomenu=1>

აღსანიშნავია, რომ გარკვეული პრაქტიკული ნაბიჯების გადადგმა საშიში ქიმიური ნივთიერებების რეგულირების კუთხით საქართველომ დაიწყო ჯერ კიდევ 2005-2006 წლებში გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) მიერ დაფინანსებული პროექტის „სტოკჰოლმის კონვენციის ფარგლებში მდგრადი ორგანული დამბინძურებლების ეროვნული სამოქმედო გეგმის მომზადება“ განხორციელებისას. გეგმა დამტკიცდა 2011 წელს. აღნიშნული გეგმიდან გამომდინარე განხორციელდა მოდ-პესტიციდებთან დაკავშირებული რამდენიმე პროექტი, რომლის ფარგლებშიც განხორციელდა საქართველოს ტერიტორიაზე ვადაგასული პესტიციდების შეგროვება, შეფუთვა, დროებით უსაფრთხო განთავსება და შემდგომ მისი გაუვნებლობა, საზოგადოების ინფორმირება და ცნობიერების ამაღლება.

2011 წელს კონვენციას დაემატა 9 ახალი ნივთიერება, შესაბამისად, კონვენციის სამდივნომ საჭიროდ ჩათვალა კონვენციის მხარე ქვეყნებში განხორციელდეს ეროვნული სამოქმედო გეგმების განახლება. გაეროს გარემოსდაცვითი პროგრამა (UNEP) გარემოსა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროსთან ერთად ახორციელებს პროექტს, რომელიც ითვალისწინებს მომდევნო ორი წლის განმავლობაში ახალი მოდ-ების ინვენტარიზაციას, არსებული გეგმის შეფასებას და ახალი გეგმის პროექტის შემუშავებას და მიღებას. ასევე საზოგადოების ცნობიერების ამაღლებას მოდ-ებთან დაკავშირებით.

ქიმიურ ნივთიერებათა რეგულირების სექტორში დღეს არსებული გამოწვევები

ხაზგასასმელია, რომ ქვეყანაში როგორც ქიმიური მრეწველობის, ასევე სასარგებლო წიაღისეულის მოპოვება (განსაკუთრებით ღია წესით) ქმნის ტექნოგენური ავარიების პოტენციალს. ამასთან, მნიშვნელოვან წყაროდ რჩება ქვეყნის ტერიტორიაზე არსებული მიტოვებული სამრეწველო და სამხედრო ობიექტები, რაც ქმნის როგორც გარემოს დაბინძურების ასევე მათლსაწინააღმდეგო დაუფლების სერიოზულ საფრთხეებს. ამასთან, საქართველოს არ გააჩნია სრული სურათი და ზუსტი აღრიცხვა პოტენციური საფრთხის შემცველი ადგილების. არსებობს მხოლოდ ცალკეული ადგილების რუკები, რომელთა შედგენა მოხდა სხვადასხვა პროგრამის ან გრანტის ფარგლებში. აღნიშნული რუკები არასრულყოფილი და ფრაგმენტულია. ამავდროულად, ისინი თითქმის არ შეიცავს მონაცემებს ქიმიური დაბინძურების კერების შესახებ².

შესაბამისად, ერთ -ერთ მთავარ პრობლემას წარმოადგენს ინფორმაციის მოგროვებისა და დამუშავების სრულყოფილი სისტემების არ ქონა, რის შედეგადაც არ არსებობს სრული ინფორმაცია:

- რა საშიში ქიმიური ნივთიერებები ინარმოება ან შემოდის ან გადაიზიდება ქვეყანაში და რა რაოდენობით;
- სად გამოიყენება საშიში ქიმიური ნივთიერებები, რა რაოდენობით, რა ტექნოლოგიებით;
- რამდენად დაცულია უსაფრთხოების და გარემოსდაცვითი ნორმები;
- რა სახიფათო ნარჩენები წარმოიქმნება ქვეყანაში, რა რაოდენობით, სად და როგორ ხდება მათი გაუვნებელყოფა ან განთავსება, დაცულია თუ არა გარემო დაბინძურებისგან;
- რა რაოდენობით საშიში (მაგნე) ქიმიური ნივთიერებები ხვდება გარემოში; როგორია ამ ნივთიერებათა კონცენტრაცია ჰაერში, წყალში, ნიადაგში;
- როგორია საშიშ (მაგნე) ნივთიერებების ადამიანთა ჯანმრთელობაზე ზემოქმედება (უშუალოდ ან დაბინძურებული გარემოს ან სურსათის/სასმელის წყლის მეშვეობით).³

² http://gov.ge/files/382_40792_816495_164-1.pdf

³ საქართველოს ქიმიური პროფილი http://csrdg.ge/upload/editor/file/qim-profil/Georgia%20chemicals%20profile_geo.pdf

აღსანიშნავია, რომ არ არსებობს სპეციალური ინფრასტრუქტურა სახიფათო ქიმიური ნივთიერებების განთავსებისა და/ან გაუვნებელყოფისთვის. ამასთან, მთელი რიგი პრიექტების ფარგლებში იდენტიფიცირებულია ქიმიურ ნივთიერებათა მთელი რიგი ცხელი წერტილები, მათ შორის საბჭოთა პერიოდში დაგროვილი სამრეწველო, სასოფლო-სამეურნეო და სამხედრო დანიშნულების ნარჩენები. მაგალითად, 0 4-9% დარიშხანის შემცველი 100 ათას ტონამდე ნარჩენი განთავსებულია სოფლებში ცანასა და ურავში⁴; ცნობილია, რომ ყოფილ კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების საწყობების ტერიტორიებზე დაგროვილია 5000 ტონამდე პესტიციდების და აგროქიმიკატების ნარჩენი;

გლობალური გარემოსდაცვითი ფონდის (GEF) მიერ დაფინანსებული პროექტის ფარგლებში გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) ორგანიზებით შესწავლილი და შეფასებულია იაღლუჯას შხამქიმიკატების პოლიგონი. შემოღობილია სამარხის ტერიტორია ფართობით 4ჰა. საიტის რემედიაციისა და ეკოლოგიური მდგომარეობის გაუმჯობესებისთვის შემუშავდა სამი კონცეპტუალური სცენარი. მოხდა იაღლუჯას მოდ-პესტიციდების (მდგრადი ორგანული დამბიძურებლები) ნაგავსაყრელზე 230 ტონა პესტიციდის მოგროვება, შეფუთვა და გატანა ბელგიასა და საფრანგეთში გაუვნებელყოფის მიზნით. განხორციელდა ცნობიერების ამაღლების ღონისძიებები ადგილობრივი მოსახლეობისთვის.⁵

გაეროს სურსათის და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციის და ევროკავშირის (FAO/EU) პროექტის ფარგლებში განხორციელდა საქართველოს ტერიტორიაზე 210 ტონა ვადაგასული პესტიციდის შეგროვების, შეფუთვა და დროებითი განთავსება, ხოლო შემდგომში მათი გატანა ბელგიასა და საფრანგეთში გაუვნებელყოფის მიზნით.⁶

ინსტიტუციური სტრუქტურა და საკანონმდებლო ბაზა

საშიში ქიმიური ნივთიერებების მართვის ერთიანი სამართლებრივი ნორმების და ამ ნივთიერებების ერთიანი სახელმწიფო რეესტრის არარსებობის მიუხედავად, შედარებით დარეგულირებულია აგროქიმიკატებისა და პესტიციდების მართვა კანონით „პესტიციდებისა და აგროქიმიკატების შესახებ“.

კანონი, FAO-ს საერთაშორისო მოთხოვნათა დაცვით, განსაზღვრავს აღნიშნული ნივთიერებების გავრცელების, უსაფრთხო გამოყენების, სარეგისტრაციო გამოცდებს ჩატარების, ექსპერტიზის, რეგისტრაციის, ეტიკეტირების და სხვ, მოთხოვნებს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსთან და საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროსთან შეთანხმებით.

სოფლის მეურნეობის სამინისტროს ასევე გააჩნია საქართველოში გამოსაყენებლად ნებადართული პესტიციდებისა და აგროქიმიკატების სახელმწიფო კატალოგის წარმოების და FAO-სთვის შესაბამისი ინფორმაციის მიწოდების ვალდებულება, სოფლის მეურნეობის სამინისტრო ასევე გასცემს ბიოლოგიური პესტიციდების წარმოების ლიცენზიას.

როგორც აღინიშნა, მიუხედავად საქართველოს კანონის „საშიში ქიმიური ნივთიერებების შესახებ“ გაუქმებისა, საქართველოში დღესაც ძალაშია ამ კანონიდან გამომდინარე კანონქვემდებარე ნორმატიული აქტები, რომლებიც განსაზღვრავენ საშიში ქიმიური ნივთიერებების გამოყენების შეზღუდვის ან აკრძალვის წესს, მათ კლასიფიკაციას და საქართველოს ტერიტორიაზე წარმოების, გამოყენებისა

⁴ 2014 წელს, გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს ნარჩენებისა და ქიმიური ნივთიერებების მართვის სამმართველოს მიერ განხორციელდა პროექტი „საქართველოში ცანას დარიშხანის სამთამადნო წარმოების და გადამუშავების ობიექტებზე ეკოლოგიური და უსაფრთხოების თვალსაზრისით არსებულ საგანგებო მდგომარეობაზე რეაგირება“, რომლის მიზანია იყო ლენტეხის მუნიციპალიტეტში ეუთოსთან თანამშრომლობის რეჟიმში დარიშხანაშემცველი ნარჩენების უსაფრთხო განთავსების მიზნით ცანა 1 და ცანა 3-ზე ორი სამარხის სამშენებლო პროექტის მომზადება შესაბამისი ხარჯთაღრიცხვით.

⁵ <http://cbw.ge/georgia/hazardous-chemicals-leave-georgia/>

⁶ საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო, 2013-2014 წლების ანგარიში, http://moe.gov.ge/files/PDF%20%20qartuli/Angarishi/angarishi_saboloo.pdf, 2015 წლის მაისი

და ექსპორტ-იმპორტის აკრძალვას ან მკაცრად შეზღუდულ გამოყენებას დაქვემდებარებული საშიში ქიმიური ნივთიერებების ნუსხას. ამასთან, გამომდინარე საქართველოს პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსიდან, 2013 წელს მიღებულია „საშიში ქიმიური ნივთიერებების ნიშანდებისა და ეტიკეტირების ტექნიკური რეგლამენტი“⁷.

ამჟამად ძირითად კომპეტენტურ ორგანოებს საშიში ქიმიური ნივთიერებების მართვის სფეროში წარმოადგენენ:

საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო, რომლის კომპეტენციას განეკუთვნება: სახიფათო ნარჩენების მართვა, ნებართვების გაცემა მათ იმპორტზე, ექსპორტსა და ტრანზიტზე, ასევე ნებართვების გაცემა ოზონდამშლელი ნივთიერებების იმპორტზე, ექსპორტზე, რეექსპორტსა და ტრანზიტზე. ბაზელის, სტოკჰოლმის, ვენის, როტერდამის (სამრეწველო ქიმიური ნივთიერებების ნაწილში) და კლიმატის ჩარჩო კონვენციების და მონრეალის და კიოტოს ოქმების სამდივნოებთან ინფორმაციის მიმოცვლა;

საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო, რომლის კომპეტენციას განეკუთვნება: პესტიციდებისა და აგროქიმიკატების მართვა, ნებართვების გაცემა ბიოლოგიური პესტიციდების წარმოებაზე და აკრძალული და მკაცრად შეზღუდული პესტიციდების მიმოქცევაზე. ამასთან, სამინისტროს კომპეტენცია პესტიციდებისა და აგროქიმიკატების იმპორტ-ექსპორტისა და ტრანზიტის სფეროში განისაზღვრება საქართველოს მთავრობის დადგენილებით „ცალკეული საშიში ქიმიური ნივთიერებების და პესტიციდების ექსპორტ-იმპორტის წესისა და წინასწარ დასაბუთებული თანხმობის პროცედურის შესახებ“, რომლის მიღებაც დაგეგმილია 2016 წლის 16 ივნისამდე. ასევე, სამინისტროს კომპეტენციაში შედის ინფორმაციის მიმოცვლა როტერდამის კონვენციის სამდივნოსთან პესტიციდების თაობაზე.

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო, რომლის კომპეტენციას განეკუთვნება: ქვეყნის ქიმიური უსაფრთხოების კონტროლი, ინფორმაციის მიმოცვლა ლონდონის სახელმძღვანელო პრინციპების სამდივნოსთან და პოტენციურად ტოქსიკურ-ქიმიური ნივთიერებების რეგისტრთან.

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგადასახადო სამსახური აკონტროლებს ქიმიური ნივთიერებების ექსპორტ/იმპორტს და რეგისტრაციას და ქმნის სტატისტიკას სახიფათო ნივთიერებებთან მიმართებაში;

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო გასცემს ნებართვას შეზღუდულად მბრუნავ ნივთიერებებზე, მათ შორის სახიფათო ნივთიერებებზე.

ევროკავშირი-საქართველო ასოცირების შეთანხმების განხორციელების გამოწვევები

2014 წელს საქართველოს მთავრობამ, დაამტკიცა „ქიმიური, ბიოლოგიური, რადიაციული და ბირთვული საფრთხეების შემცირების ეროვნული სტრატეგია“⁸, რომლის თანახმადაც განისაზღვრა ძირითადი მიმართულებები, როგორცაა პრევენცია, გამოვლენა, მზადყოფნა და რეაგირება. ამ დოკუმენტის საფუძველზე უნდა მომზადდეს თითოეული სექტორში სამოქმედო გეგმა.

ასოცირების ხელშეკრულებით აღებული ვალდებულებების შესრულების მიმართულებით 2014 წელს მიღებულ იქნა საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს მიერ

⁷ „საშიში ქიმიური ნივთიერებების ნიშანდებისა და ეტიკეტირების ტექნიკური რეგლამენტი“, <https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/2187938>

⁸ http://gov.ge/files/382_40792_816495_164-1.pdf

შემუშავებული „ნარჩენების მართვის კოდექსი. 2016 წელს საქართველოს მთავრობის დადგენილებით დამტკიცდა ნარჩენების მართვის 2016-2030 წლების ეროვნული სტრატეგია და 2016-2020 წლების ეროვნული სამოქმედო გეგმა. ასევე 2015-2016 წწ. მიღებულ იქნა მთელი რიგი კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებისა - ტექნიკური რეგლამენტებისა - რომლებმაც განსაზღვრეს ნაგავსაყრელების მართვის, ნარჩენების ტრანსპორტირების, შეგროვების, დამუშავების, აღრიცხვის, კლასიფიკაციის, შენახვისა და რეგისტრაციის წესი და პირობები.

ასევე, 2016 წელს შეტანილ იქნა ცვლილებები მთელ რიგ საკანონმდებლო აქტებში, მათ შორის საქართველოს კანონში „საქართველოს ტერიტორიაზე ნარჩენების იმპორტისა და ტრანზიტის შესახებ“ და „ატმოსფერული ჰაერის დაცვის შესახებ“, მათი საერთაშორისო სამართლებრივ ნორმებთან ჰარმონიზაციის მიზნით.

გარკვეულ ნარმატებებს საქართველომ მიაღწია მონრეალის ოქმის მრავალმხრივი ფონდის ფინანსური მხარდაჭერის ფარგლებში, კერძოდ, მათ შორის დაჩქარებულად ამოიღო ძირითადი ოზონდამშლელი ნივთიერებები, მათ შორის ჰალონები და შეწყვიტა ქლორფტორნახშირბადების მოხმარება. შექმნილია ოზონდამშლელი ნივთიერებების (ოდნ) იმპორტ-ექსპორტის სანებართვო სისტემა და ამ კუთხით გაძლიერებულია საბაჟო უწყების შესაძლებლობები, განხორციელდა საბაჟოების ტექნიკური აღჭურვა ოდნების კონტრაბანდასთან ბრძოლის კუთხით;

ქვეყანაში შექმნილია რეციკლირების ორი ცენტრი, სადაც ხდება მოხმარებული მაცივარაგენტების განახლება ხელახლა გამოყენებისათვის, რაც ამცირებს ახალ მაცივარაგენტებზე მოთხოვნას. წლების განმავლობაში გადამზადდა და სამაცივრო და ჰაერის კონდიციონერების სექტორში თანამედროვე პრაქტიკას გაეცნო 1000-მდე ტექნიკოსი. 3 პროფესიულ სასწავლებელში დაინერგა მაცივარ-ტექნიკოსის სასწავლო პროგრამა; ამასთან, ქვეყანაში არსებული ოდნ-ების ნარჩენები გატანილია და უსაფრთხოდაა განადგურებული ევროპაში.

აღსანიშნავია, ისიც რომ საქართველომ 2015 წელს მიაღწია წყალბადქლორფტორნახშირბადების მოხმარების 10%-იან შემცირებას, ხოლო 2016 წელს საბოლოოდ შეწყვიტა ერთ-ერთი წყალბადქლორფტორნახშირბადის (1-ქლორ-1,1-დიფტორეთანი (HCFC-142b)) მოხმარება.

საქართველო პერმანენტულად თანამშრომლობს საერთაშორისო სტრუქტურებთან და კონვენციების სამდივნოებთან, რაც ძირითადად გამოიხატება გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს მიერ მომზადებული ანგარიშების სამდივნოში წარდგენაში და სამდივნოებიდან შემოსული კითხვარების შევსებაში.

გამონაკლისს წარმოადგენს როტერდამის კონვენციის სამდივნო, რომელთანაც ურთიერთობა პრაქტიკულად არ ხდებოდა, ერთის მხრივ, ამ სფეროში საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს გამოცდილების დეფიციტის გამო, ხოლო, მეორე მხრივ, 2010 წელს კანონის „საშიში ნივთიერებების შესახებ“ გაუქმებამ ღიად დატოვა ინფორმაციის გაცვლაზე პასუხისმგებელი ორგანოს საკითხი. ამჟამად გარკვეულ აქტივობას იჩენს სოფლის მეურნეობის სამინისტრო, რომელმაც როტერდამის კონვენციის სამდივნოს წერილობით მიმართა ზოგიერთ პესტიციდებთან დაკავშირებით.

საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს მიერ მომზადებული ევროკავშირი- საქართველოს ასოცირების ხელშეკრულების ქიმიური ნივთიერებების მართვის საგზაო რუკის თანახმად, სამინისტრომ 2017-2019 წლებში უნდა მოამზადოს ახალი კანონი „საშიში ქიმიური ნივთიერებების შესახებ“ და შექმნას „საშიში ქიმიური ნივთიერებების ეროვნული რეესტრის“, აგრეთვე შეიმუშავოს კანონი და კანონქვემდებარე აქტები ნივთიერების და ნარეგების კლასიფიკაციის, ეტიკეტირებისა და შეფუთვის შესახებ, აგრეთვე კანონქვემდებარე აქტი ვერცხლისწყლის შესახებ.

ახალ კანონპროექტთან მიმართებაში აღსანიშნავია, ორი გარემოება: 1) მთავარ კომპეტენტურ ორგანოდ კვლავ განსაზღვრულია საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო. 2) განსხვავებით, ევროკავშირი-საქართველოს ასოცირების შეთანხმების გარემოს დაცვის და კლიმატის ცვლილების საგზაო რუკაში შესული სხვა სექტორებისგან განსხვავებით, საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს ამ საქმიანობისთვის არა აქვს მოპოვებული დონორების მხარდაჭერა.

ამასთან, კანონის დადგენილ ვადებში მიღების შემთხვევაში, საბოლოო წარმატება დამოკიდებული იქნება იმაზე თუ რამდენად ადექვატური ნაბიჯები გადაიდგმება კანონის ეფექტიანი და სრულფასოვანი ამოქმედებისთვის.



ეს საჯარო პოლიტიკის ნარკვევი გამოიცა მწვანე ალტერნატივას პროექტის – „ევროინტეგრაციის გამონვევები უკეთესი გარემოსდაცვითი მმართველობისათვის“ ფარგლებში. პროექტი ხორციელდება ფონდი „ღია საზოგადოება-საქართველოს“ ფინანსური მხარდაჭერით.

ამ ნარკვევში გამოთქმული მოსაზრებები გამოხატავს მწვანე ალტერნატივას პოზიციას და არ შეიძლება განხილულ იქნეს ფონდი „ღია საზოგადოება-საქართველოს“ და ევროკავშირის შეხედულებათა ამსახველად.



© მწვანე ალტერნატივა, 2016

თბილისი, 0179,
ფალიაშვილის ქ.#27/29, II სართ.
ტელ: (995 32) 222 38 74; 229 27 73
ფაქსი: (995 32) 222 38 74
GREENALT@GREENALT.ORG
WWW.GREENALT.ORG